საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.018717) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. 34-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2018–2020 წლებში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების (გარდა ამ მუხლის 6^1 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირებისა) თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შესაბამისი საშტატო ნუსხით და დადგინდეს არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით. განსხვავებული წესით თანამდებობრივი სარგო შეიძლება დადგინდეს მხოლოდ საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში.“;

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. 2018–2020 წლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო დგინდება არაუმეტეს 4.0 კოეფიციენტის ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით, ხოლო მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო დგინდება არაუმეტეს 2.5 კოეფიციენტის ფარგლებში განსაზღვრული კოეფიციენტის საბაზო თანამდებობრივ სარგოზე ნამრავლით და აისახება შესაბამის საშტატო ნუსხაში.“.

2. კანონის №4 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №4

ცხრილი №4.1

პოლიტიკური თანამდებობის პირები	თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	8.50
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	7.5
სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	7.25
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	6.5
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	6.00

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველი მოადგილე	5.50
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მოადგილე	5.00
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე	5.00
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	4.0

ცხრილი №4.2

მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) პოლიტიკური თანამდებობის პირები	**თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვრის კოეფიციენტი**
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი	6.0
საკრებულოს თავმჯდომარე	6.0
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის პირველი მოადგილე	5.0
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	5.0
აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე	4.5
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	4.5
საკრებულოს კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე	4.5
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2.5

.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

27 ივნისი 2018 წ.

N2639-IIს